ბერტრან რასელი

დასავლური ფილოსოფიის ისტორია

წიგნი მეორე

(კათოლიკური ფილოსოფია)

ქართული თარგმანი ეკუთვნის დიმიტრი უჩანეიშვილს

გამომცემლობა iBooks
თბილისი / 2023

თარგმანი შესრულებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით:
Bertrand Russell, History of Western Philosophy and its Connection with Political and Social Circumstances from the Earliest Times to the Present Day, George Allen and Unwin Ltd, 1946
First published 1946
by George Allen & Unwin Ltd, London
First published in Routledge Classics 2004
by Routledge
2 Park Square, Milton Park, Abingdon, Oxon OX14 4RN
711 Third Avenue, New York, NY 10017
Routledge is an imprint of the Taylor & Francis Group, an informa business
© 1996 The Bertrand Russell Peace Foundation Ltd
Typeset in Joanna by RefineCatch Ltd, Bungay, Suffolk
All rights reserved. No part of this book may be reprinted or reproduced or utilized in any form or by any electronic, mechanical, or other means, now known or hereafter invented, including photocopying and recording, or in any information storage or retrieval system, without permission in writing from the publishers.
Authorised translation from the English language edition published by Routledge, a member of the Taylor & Francis Group, copyright of The Bertrand Russell Peace Foundation

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის
ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრი

EAST EUROPEAN UNIVERSITY
Varlam Cherkezishvili Centre for Interdisciplinary Studies

მთარგმნელი: დიმიტრი უჩანეიშვილი
რედაქტორი: გიორგი თავაძე
კორექტორი: ეკატერინე კვირკველია

მეორე შესწორებული გამოცემა

გამომცემლობა „iBooks“ 2023

© გამომცემლობა „iBooks“

ISBN 978-9941-8-5934-2 (სამივე წიგნის)
ISBN 978-9941-8-5936-6 (მეორე წიგნის)

დიმიტრი უჩანეიშვილი არის ავტორი და მთარგმნელი, რომელიც ძირითადად ფილოსოფიური ტექსტების თარგმნით არის დაკავებული. მის მიერ ნათარგმნი ნაშრომების ავტორებს შორის არიან მ. მამარდაშვილი, დ. ჰიუმი, ჯ. ბერკლი, ლ. შესტოვი, ნ. ბერდიაევი, ჯ. რემსბერგი, ს. კირკეგორი და სხვები.

გიორგი თავაძე არის აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორი და ამავე უნივერსიტეტის ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი. მისი კვლევის სფეროებია: უმაღლესი განათლების ფილოსოფია, ინტერდისციპლინური პოსტკოლონიური კვლევები, სოციალური და პოლიტიკური ფილოსოფია, იდეების ისტორია, ფილოსოფიური გეოგრაფია.

სარჩევი

რედაქტორის წინასიტყვაობა....7

წიგნი მეორე. კათოლიკური ფილოსოფია

შესავალი....9

ნაწილი I. ეკლესიის მამები....16
თავი I. რელიგიური განვითარება ებრაელებთან....16
თავი II. ქრისტიანობა პირველი ოთხი საუკუნის განმავლობაში....34
თავი III. ეკლესიის სამი დოქტორი....45
თავი IV. ნეტარი ავგუსტინეს ფილოსოფია და თეოლოგია....66
I. წმინდა ფილოსოფია....66
II. ღვთის ქალაქი....69
III. კამათი პელაგიუსთან....80
თავი V. V-VI საუკუნეები....82
თავი VI. წმინდა ბენედიქტე და გრიგოლ დიდი....92
ნაწილი II. სქოლასტიკოსები....106
თავი VII. პაპობის ინსტიტუტი სიბნელის ეპოქაში....106
თავი VIII. იოანე სკოტ ერიუგენა....121
თავი IX. XI საუკუნის საეკლესიო რეფორმა....128
თავი X. მაჰმადიანური კულტურა და ისტორია....143
თავი XI. XII საუკუნე....154
კონფლიქტი იმპერიასა და პაპობის ინსტიტუტს შორის....155
ლომბარდიის ქალაქების დაწინაურება....157
ჯვაროსნები....160
სქოლასტიკის განვითარება....161
თავი XII. XIII საუკუნე....168
თავი XIII. წმ. თომა აკვინელი....181
თავი XIV. ფრანცისკანელი სქოლასტიკოსები....195
თავი XV. პაპობის ინსტიტუტის დაკნინება....210

სახელთა საძიებელი....224

რედაქტორის წინასიტყვაობა

„ჭეშმარიტება მოკაშკაშე ქალღმერთია, მუდამ ბურუსით მოცული, მუდამ შორეული, რომელსაც ბოლომდე ვერასოდეს ჩასწვდები, მაგრამ რომელიც იმსახურებს მთელ იმ შემართებას, ადამიანურ სულს რომ გააჩნია“ – ეს სიტყვები ეკუთვნის XX საუკუნის გამორჩეულ ფილოსოფოსსა და საზოგადო მოღვაწეს, ბერტრან რასელს (1872-1970 წწ.), რომელმაც თავისი თითქმის საუკუნოვანი ცხოვრების განმავლობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფილოსოფიის, მათემატიკისა და ლოგიკის განვითარებაში. გარდა ამისა, რასელი იყო აქტიური პაციფისტი, რის გამოც პირველი მსოფლიო ომის დროს დიდი ბრიტანეთის მთავრობამ იგი გარკვეული პერიოდით დააპატიმრა კიდეც. რასელის საზოგადოებრივი აქტიურობა არც მისი ცხოვრების გვიანდელ წლებში განელებულა. 1955 წელს ალბერტ აინშტაინთან და მსოფლიოს სხვა წამყვან მეცნიერებთან ერთად მან გამოაქვეყნა ე.წ. „რასელ-აინშტაინის მანიფესტი“, რომელშიც ხელმომწერები მსოფლიოს პოლიტიკურ ლიდერებს ბირთვული იარაღიდან მომდინარე საფრთხეებს შეახსენებდნენ. ხუთი წლით ადრე, 1950 წელს, რასელმა მიიღო ნობელის პრემია ლიტერატურაში „თავისი მრავალფეროვანი და მნიშვნელოვანი შრომებისთვის, რომლებშიც იგი მხარს უჭერს ჰუმანისტურ იდეალებსა და აზროვნების თავისუფლებას“.

ბერტრან რასელი 70-ზე მეტი წიგნისა და 2000-ზე მეტი(!) სტატიის ავტორი გახლდათ. მათ შორისაა: *Principia Mathematica* („მათემატიკის საფუძვლები“, სამ ტომად, 1910-1913 წწ., ალფრედ ნორთ უაიტჰედთან ერთად), „ფილოსოფიის პრობლემები“ (1912 წ.), „პოლიტიკური იდეალები“ (1917 წ.), „შესავალი მათემატიკურ ფილოსოფიაში“ (1919 წ.), „ბოლშევიზმის პრაქტიკა და თეორია“ (1920 წ.), „გამოკვლევა მნიშვნელობისა და ჭეშმარიტების შესახებ“ (1940 წ.), „დასავლური ფილოსოფიის ისტორია“ (1945 წ.), „ადამიანური ცოდნის მასშტაბი და საზღვრები“ (1948 წ.), „ძალაუფლება და ინდივიდი“ (1949 წ.), „აქვს თუ არა ადამიანს მომავალი?“ (1961 წ.) და სხვ.

„დასავლური ფილოსოფიის ისტორია“, რომლის პირველ ქართულ თარგმანსაც წინამდებარე გამოცემა წარმოადგენს, რასელის ერთ-ერთი

წიგნი მეორე. კათოლიკური ფილოსოფია

შესავალი

კათოლიკური ფილოსოფია იმ აზრით, რომლითაც მე გამოვიყენებ ამ ტერმინს, არის ფილოსოფია, რომელიც ევროპულ აზროვნებაში ავგუსტინედან აღორძინებამდე იყო გაბატონებული. ამ ათსაუკუნოვან პერიოდამდე და მის შემდეგაც არსებობდნენ ფილოსოფოსები, რომლებიც იმავე სკოლას ეკუთვნოდნენ. ავგუსტინემდე იყვნენ ეკლესიის ადრეული მამები, უპირველეს ყოვლისა, ორიგენე; აღორძინების შემდეგ ისინი მრავლად არიან, მათ შორის, ფილოსოფიის ყველა თანამედროვე ორთოდოქსი კათოლიკე მასწავლებელი, რომელიც ამა თუ იმ შუასაუკუნეობრივი სისტემის (განსაკუთრებით, თომა აკვინელის) ერთგულია, მაგრამ მხოლოდ ავგუსტინედან აღორძინებამდე იყვნენ ეპოქის უდიდესი ფილოსოფოსები კათოლიკური სინთეზის შექმნით ან სრულყოფით დაინტერესებულნი. ქრისტიანულ საუკუნეებში ავგუსტინემდე სტოიკოსები და ნეოპლატონიკოსები ჩრდილავენ ეკლესიის მამებს ფილოსოფიურ უნარებთან მიმართებით. აღორძინების შემდეგ ერთი გამორჩეული ფილოსოფოსიც კი არ არის თვით ორთოდოქს კათოლიკეთა შორის, რომელიც სქოლასტიკური ან ავგუსტინესეული ტრადიციის გაგრძელებით იყო დაინტერესებული.

პერიოდი, რომლის შესახებაც ამ წიგნში ვისაუბრებთ, ადრინდელი და შემდგომი პერიოდებისგან არა მხოლოდ ფილოსოფიით, არამედ მრავალი სხვა მიმართებითაც განსხვავდება, მათგან ყველაზე მეტად აღსანიშნავია ეკლესიის ძალმოსილება. ეკლესიამ ფილოსოფიური შეხედულებები უფრო ახლო მიმართებაში მოაქცია სოციალურ და პოლიტიკურ გარემოებებთან, ვიდრე ეს შუა საუკუნეების პერიოდამდე (დაახლ. 400 წლიდან 1400 წლამდე) ან მის შემდეგ იყო. ეკლესია არის სოციალური ინსტიტუტი, დაფუძნებული მრწამსზე, რომელიც ნაწილობრივ ფილოსოფიურია, ნაწილობრივ კი წმინდა ისტორიას უკავშირდება. ძალაუფლებასა და სიმდიდრეს მან აღმსარებლობის საშუალებით მიაღწია. საერო მმართველები, რომლებიც ხშირად უთანხმოებაში იყვნენ

მასთან, დამარცხდნენ, რადგან მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, საერო მმართველთა უმეტესობის ჩათვლით, ღრმად იყო დარწმუნებული კათოლიკური რწმენის ჭეშმარიტებაში. ეკლესიას რომანულ და გერმანულ ტრადიციებთან ბრძოლა უწევდა. რომანული ტრადიცია ყველაზე ძლიერი იყო იტალიაში, განსაკუთრებით, კანონთმცოდნეთა შორის; გერმანული ტრადიცია გავლენით სარგებლობდა ფეოდალურ არისტოკრატიაში, რომელიც ბარბაროსთა მიერ დაპყრობების შედეგად წარმოიშვა. მაგრამ მრავალი საუკუნის განმავლობაში ამ ტრადიციათაგან ვერცერთმა მოიკრიბა საკმარისი ძალა, რომ წარმატებით გაეწია წინააღმდეგობა ეკლესიისთვის. ეს მნიშვნელოვანწილად იმ ფაქტს უკავშირდება, რომ ეს ტრადიციები არ იყო ხორცშესხმული ადეკვატურ ფილოსოფიურ სისტემაში.

აზროვნების ისტორია, კერძოდ, იმ სახის აზროვნების, რომლითაც ჩვენ ვართ დაკავებულნი, გარდაუვლად ცალმხრივია, როდესაც საქმე შუა საუკუნეებთან გვაქვს. რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ამ პერიოდის ყველა მოღვაწე, რომელმაც წვლილი შეიტანა თავისი დროის ინტელექტუალურ ცხოვრებაში, სასულიერო პირი იყო. საერო ფენამ შუა საუკუნეებში თანდათანობით ააგო ძლიერი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა, მაგრამ მათი მოღვაწეობა, გარკვეული აზრით, შეუმჩნეველი გახლდათ. გვიან შუა საუკუნეებში არსებობდა არცთუ უმნიშვნელო საერო ლიტერატურა, რომელიც ძლიერ განსხვავდებოდა ეკლესიურისგან; ზოგად ისტორიაში ეს ლიტერატურა მეტ ყურადღებას მოითხოვდა, ვიდრე ამას ფილოსოფიური აზროვნების ისტორია მოითხოვს. დანტეს დრომდე არ გამოჩენილა საერო პირი, რომელიც თავისი დროის ეკლესიური ფილოსოფიის სრული ცოდნით წერდა. XIV საუკუნემდე ვირტუალურ მონოპოლიას ფილოსოფიაზე სასულიერო პირები ფლობენ და, შესაბამისად, ფილოსოფია ეკლესიის გადმოსახედიდან იწერება. ამ მიზეზით შუასაუკუნეობრივი აზრის გაგება ვერ მოხერხდება საეკლესიო ინსტიტუტების, განსაკუთრებით კი, პაპის ინსტიტუტის განვითარების დეტალური აღწერის გარეშე.

შუა საუკუნეების სამყარო, ანტიკურობისგან განსხვავებით, დუალიზმის მრავალი ფორმით ხასიათდება. არსებობს სამღვდელოებისა და საერო ფენის დუალიზმი, ლათინთა და ტევტონთა დუალიზმი, ღმერთის სამეფოსა და მიწიერ სამეფოთა დუალიზმი, სულისა და ხორცის დუალიზმი და, თითოეული მათგანი წარმოდგენილია პაპისა და იმპერატორის დუალიზმში. ლათინთა და ტევტონთა დუალიზმი ბარბაროსულ შემოსევათა შედეგია, მაგრამ დანარჩენებს უფრო ძველი ფესვები აქვს. სამღვდელოებისა და საერო ფენის დამოკიდებულება შუა საუკუნეებში

სამუელისა და საულის დამოკიდებულების ნიმუშის მიხედვით იგებოდა. სამღვდელოების უპირატესობის მოთხოვნა არიანელ[1] ან სანახევროდ არიანელ იმპერატორთა და მეფეთა პერიოდში წარმოიშვა. ღმერთის სამეფოსა და მიწიერ სამეფოთა დუალიზმს „ახალ აღთქმაში“ ვხვდებით, მაგრამ სისტემატიზებული სახით ის ნეტარი ავგუსტინეს „ღვთის ქალაქშია“ მოცემული. სულისა და ხორცის დუალიზმი არის პლატონის ფილოსოფიაში, და კიდევ უფრო მეტად ხაზგასმულია ეს ნეოპლატონიკოსების მიერ. ის მნიშვნელოვან როლს თამაშობდა პავლე მოციქულის მოძღვრებაში და გაბატონებული მდგომარეობა ეკავა IV და V საუკუნეების ასკეტიზმში.

კათოლიკური ფილოსოფია ორად იყოფა ბნელი პერიოდით, რომლის განმავლობაში დასავლეთ ევროპაში ინტელექტუალური აქტივობა თითქმის არ არსებობდა. კონსტანტინეს მოქცევიდან ბოეთიუსის სიკვდილამდე ქრისტიან ფილოსოფოსთა აზრებზე ჯერ კიდევ რომის იმპერიის (რეალურად არსებულის ან მოგონებებში შემორჩენილის) კონცეფციები ბატონობს, ამ პერიოდში ბარბაროსებს უბრალოდ უხერხულობად განიხილავენ და არა როგორც ქრისტიანული სამყაროს დამოუკიდებელ ნაწილს. ჯერ კიდევ არსებობს ცივილიზებული საზოგადოება, რომლის ყველა შეძლებულმა წევრმა იცის წერა-კითხვა, ფილოსოფოსმა კი უნდა მიმართოს როგორც საერო ფენას, ისე სამღვდელოებას. ამ პერიოდსა და სიბნელის ეპოქას შორის, VI საუკუნის ბოლოს, დგას გრიგოლ დიდი,[2] რომელიც საკუთარ თავს ბიზანტიის იმპერატორის ქვეშევრდომად მიიჩნევს, მაგრამ ქედმაღლობს და ამპარტავნობს ბარბაროს მეფეთა მიმართ დამოკიდებულებაში. მისი მმართველობის შემდეგ დასავლეთის ქრისტიანულ სამყაროში სამღვდელოებისა და საერო ფენის განცალკევება სულ უფრო ნიშანდობლივი ხდება. საერო არისტოკრატია ქმნის ფეოდალურ სისტემას, რომელიც ოდნავ არბილებს გაბატონებულ ტურბულენტურ ანარქიას; სამღვდელოება ქრისტიანულ მორჩილებას ასწავლის, თუმცა პრაქტიკულად მას უდაბლესი კლასები ახორციელებენ; წარმართული სიამაყე ხორცშესხმულია დუელში, პირადი შებრძოლებით სიმართლის გარკვევაში, ტურნირებსა და პირად შურისძიებაში,

1. არიანელობა – IV-VI საუკუნეებში ქრისტიანულ ეკლესიაში წარმოშობილი მიმდინარეობა, რომლის თანახმად, ქრისტე დასაბამიდან არ არსებობდა მამა ღმერთთან ერთად, იგი შემდეგშია შექმნილი ადამიანის მსგავსად. ქრისტეში ერთსა და იმავე დროს ღმერთიც არის და ადამიანიც, მაგრამ ჭარბობს ადამიანურობა – მთარგმნელის შენიშვნა.

2. რომის პაპი 590-604 წწ. – რედაქტორის შენიშვნა.

რაც ეკლესიას არ მოსწონს, მაგრამ ხელის შეშლას ვერ ახერხებს. XI საუკუნის დასაწყისში ეკლესია დიდი სირთულით აღწევს წარმატებას ფეოდალური არისტოკრატიისგან გათავისუფლების საქმეში და სწორედ ეს ფაქტია ერთ-ერთი მიზეზი ევროპის გამოსვლისა ბნელი ეპოქიდან.

კათოლიკური ფილოსოფიის პირველ დიად პერიოდში ნეტარი ავგუსტინეა გაბატონებული, წარმართებს შორის კი – პლატონი. მეორე პერიოდის კულმინაციაა წმ. თომა აკვინელი, რომლისთვისაც, ისევე, როგორც მისი მიმდევრებისთვის, არისტოტელე მნიშვნელოვნად აღემატება პლატონს. თუმცა „ღვთის ქალაქის“ დუალიზმი მთელი ძალმოსილებითაა შენარჩუნებული. ეკლესია წარმოადგენს „ღვთის ქალაქს“, პოლიტიკურად კი ფილოსოფოსები ეკლესიის ინტერესებს იცავენ. ფილოსოფია რწმენის დაცვაზე ზრუნავდა და გონებას უხმობდა მათთან საკამათოდ, ვინც, მაჰმადიანთა მსგავსად, არ აღიარებდა ქრისტიანული გამოცხადების ჭეშმარიტებას. გონებისთვის ასეთი მიმართვით ფილოსოფოსებმა გამოწვევა ესროლეს კრიტიკას, არა უბრალოდ როგორც ღვთისმეტყველებმა, არამედ როგორც ისეთი სისტემის გამომგონებლებმა, რომელიც შექმნილი იყო ნებისმიერი ადამიანისთვის მათი აღმსარებლობის მიუხედავად. გრძელვადიან პერსპექტივაში გონებისადმი აპელირება, შესაძლოა, შეცდომა იყო, მაგრამ XIII საუკუნეში ეს სავსებით წარმატებულად მიიჩნეოდა.

XIII საუკუნის სინთეზი, რომელსაც დასრულებულობისა და დამთავრებულობის სახე ჰქონდა, მრავალი მიზეზით დაინგრა. შესაძლოა, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ვაჭართა მდიდარი კლასის ჩამოყალიბება, თავდაპირველად იტალიაში, შემდეგ კი სხვაგანაც. ფეოდალური არისტოკრატია ძირითადად უცოდინარი, უგუნური და ბარბაროსული იყო; უბრალო ადამიანებმა ეკლესიის მხარე დაიჭირეს, რომელიც დიდებულებზე მაღლა იდგა ინტელექტსა და ზნეობასთან მიმართებით და შესწევდა ანარქიასთან შებრძოლების უნარი. მაგრამ ვაჭართა ახალი კლასი იმდენადვე გონიერი იყო, რამდენადაც სამღვდელოება, კარგად იყო ინფორმირებული საერო საქმეებში, უკეთ შეეძლო გამკლავება დიდებულებთან და მეტად იყო მისაღები ქალაქის დაბალი კლასებისთვის, როგორც სამოქალაქო თავისუფლების დამცველი. წინა პლანზე გამოვიდა დემოკრატიული ტენდენციები, ხოლო მას შემდეგ, რაც პაპმა მათი დახმარებით იმპერატორი დაამარცხა, იგივე ტენდენციები ამოქმედდა ეკონომიკური ცხოვრების გასათავისუფლებლად ეკლესიური კონტროლისგან.

შუა საუკუნეების ეპოქის დასრულების კიდევ ერთი მიზეზი იყო ძლიერი ეროვნული მონარქიების წარმოშობა საფრანგეთში, ინგლისსა და